

ბენედიქტ სპინოზას რეცეფცია XX საუკუნის მეორე ნახევრის  
კონტინენტურ ფილოსოფიაში

დავით გალაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფ., დოქტ. ელენე ლადარია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განცხადება

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით გალაშვილი

26.06.2019

## აბსტრაქტი

ნაშრომში ბენედიქტ სპინოზას რეცეფცია XX საუკუნის მეორე ნახევრის კონტინენტურ ფილოსოფიაში განხილულია ჰოლანდიელი რაციონალისტი მოაზროვნის, ბენედიქტ სპინოზას, ფილოსოფიის კავშირი თანამედროვე სააზროვნო სივრცესთან. წინამდებარე ნაშრომი აქტუალური ფილოსოფიური პრობლემატიკის სპინოზისტური პერსპექტივიდან განხილვის მცდელობაა. სპინოზას რეაქტუალიზაცია XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტიურად დაიწყო. ეს პერიოდი „სპინოზისტური მობრუნების“ სახელწოდებითაც არის ცნობილი. სპინოზას ტექსტებისა და სპინოზისტური ტრადიციის ხელახალი გადამუშავება უკავშირდება ლუი ალთიუსერის, ჟილ დელიოზის, პიერ მაშრეს, ანტონიო ნეგრის და სხვა მრავალი თანამედროვე ავტორის სახელს, რომელთა მიზანი ფილოსოფიურ და პოლიტიკურ დისპუტში სპინოზას სააზროვნო სტილისა და პერსპექტივის დაბრუნება გახლდათ. „სპინოზისტური მობრუნების“ ავტორებისათვის სპინოზას ფილოსოფია სუბიექტზე კონცენტრირებული, ტელეოლოგიურად მოაზრებული ისტორიული პროცესის ალტერნატივა, ძირძველი მეტაფიზიკური და ეთიკური პრომლემებისა და საკითხების ახალ ჰორიზონტზე გამოშლის შესაძლებლობაა.

## Abstract

In the work *The Reception of Benedict Spinoza in the second half of 20<sup>th</sup> century's Continental Philosophy* is discussed the connection of Dutch Rationalist philosopher, Benedict Spinoza, to modern area of thought. Following work is an attempt of discussing actual philosophical problematic from Spinozist perspective. Reactualization of Spinoza actively began from the second half of 20<sup>th</sup> century, this period is also known as "Spinozist Turn". Reexamination of Spinozist Tradition is connected with Louis Althusser, Gilles Deleuze, Pierre Macherey, Antonio Negri and many other modern authors. The Aim of this group of researchers was to return Spinozist perspective of thought in modern philosophical disputes. Philosophy of Spinoza represents a powerful alternative of Subject -concentrated, teleologically perceived history and also the elucidation of new horizon of time-worn metaphysical and ethical issues.